საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №421

ქ. თბილისი "31" 05 2006 წ.

შ.პ.ს „შარა-გზამშენი პირველი"-ს მიერ წარმოდგენილ ასფალტ-ბეტონის ქარხანა, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო და ბეტონის კვანძის გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-2 და მე-3 მუხლის 1 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შ.პ.ს „შარა-გზამშენი პირველი"-ს მიერ წარმოდგენილ ასფალტ-ბეტონის ქარხანა, ინერტული მასალების სამსხვრევ-დამხარისხებელი საამქრო და ბეტონის კვანძის საქმიანობაზე;
2. ნებართვის მოქმედების ვადად განისაზღვროს 10 (ათი) წელი;
3. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
4. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №64;24.05.06წ. და ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტის უფროსის ირაკლი კვაშილავას მოხსენებითი პარათი

მინისტრი გ. პაპუაშვილი

ასლი სწორია